საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 400 1918 წ. ოთხშაბათი. დეკემბერი 4. № 400

სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.
რაიონის გარეშე 60 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

პეტლიურას ჯარმა პოლტავა აიღო. ინგლისელების ფლოტი კოპენჰაგენს მივიდა. ვილსონმა გერმანიას შეატყობინა, რომ თუ რუსეთის ელჩის ჩასვლის გამო სადმე არეულობა გაჩნდა — საზავო პირობების დარღვევად ჩავსთვლითო.

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე ბართლომე გრიგორის ძე მეგრელიძე შვილებით, სიდედრი ანუსი, რძალი ივდითი და მაზლი იაგორ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მუდამ ძვირფას და დაუვიწყარს

მარო ელიზბარის ასულის მეგრელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს (ახალი სტ.) 3 საათზე ს. ქვენობანში (გურია). 2499

გულდათუთქულნი მშობლები: ელისბარ მიქელის ძე და ფოტინე იესეს ასული ჭანიშვილები, დები: ქეთევან ელისბარის ასული ბურჭულაძისა მეუღლით, ტატიანა და ქსენია, ძმები: დავით, კონსტანტინე, რაჟდენ და დანიელ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, ძვირფას და მუდამ დაუვიწყარ

მარო ელიზბარის ასულ მეგრელიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს (ახ. სტ.), ნაშუადღ. 3 ს. სოფ. ქვენობანში (გურია). 2499

დამწუხრებულნი დები ოლღა ნიკოლოზის ასული ლოლაძე, ეკატერინე ნიკოლოზის ასული გაბილაშვილი ალექსანდრე ლოლაძე, ფილიპე გაბილაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი საყვარელ დაუვიწყარ ძმის, მეორენი ცოლის ძმის

სილოვან ნიკოლოზის ძის ერქომაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დეკემბრის 8 ს, ქვაშვეთის ეკლესიაში წირვა პანაშვიდი 10 საათზე პუშკინის ქუჩა № 27. დაკრძალვა წმიდა ნინოს სასაფლაოზე 2503

ანნა (ტატულია) საბას-ასული, თამარი და ელენე ნიორაძენი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას საყვარელ გამზრდელ სიძის და ბიძიას

სილოვან ნიკოლოზის ძე ერქომაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დეკემბრის 8 ქვაშვეთის ეკლესიაში, წირვა და პანაშვიდი 10 საათზედ. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 2513

ღრმად დამწუხრებულნი ნინო (ცოფტია) ლევან და ნადია ერქომაიშვილები, ქრისტინე მიხეილის ასული და მარიამ ხაბის ასული ცომაიები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფას საყვარელ და დაუვიწყარ პირველნი მამის მეორენი სიძის

სილოვან ნიკოლოზის ძე ერქომაიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება პუშკინის ქუჩა № 27. დეკემბრის 8-ს საათზე წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა წმიდა ნინოს სასაფლაოზე 2513

ღრმად დამწუხარებულნი დარია ნესტორის ასული ტყემალაძისა, შვილები მისი გალაქტიონ, კლავდიოზ, მიტროფანი და ირაკლი ტყემალაძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს დეკემბრის 5-ს. ს. ბაჯითში მოხდება დაკრძალვა ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებულ პირველის საყვარელ მეუღლისა, მხოლოდ მეორისა ძვირფასი მამისა

დეკანოზ აბესალომ ტყემალაძისა

2514

სახელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, დეკემბრის 4-ს

ოპერა

ნ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ვ. ნიკოლსკის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე წარმოდგენილი იქნება: ზალიპსკისა და ნიკოლსკის მონაწილეობით

1.

მოცარტი და სალიერი

2.

ზალიპსკის, ვრონსკის, ნიკოლ[illegible]ისა და დიმიანენკოს მონაწილეობით

სევილიელი დალაქი

დასაწყისი საღამოს 7 საათზე

ხუთშაბათს, დეკემბრის 5-ს, საბანეევას, ალეშკოს, კანშინის, ვრონსკის, ნიკოლსკისა და ისეცკის მონაწილეობით

ჰუგენოტები.

[illegible]ს, დეკემბრის 7-ს, ა. მ. კანშინის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება

ნერონი.

კვირას, დეკემბრის 8-ს, **ლაკმე** 3917

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა

დღეს, 1918 წ. დეკემბრის 4 ს

დიდი სადღესასწაულო წარმოდგენ

გასტროლი ტფილისელ კინტო ლევანსკისაა. გამოსვლა ჰაერის მეფე ხამიკუშმაკისა გამოსვლა მოჯირითე ველ ფე მარისა, კომიკოს ვიქტორის და დიმის და იაპონელი ოამად სანის დასი ა. დასაწყისი 7½ ს

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი 2515

დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამა წლის დეკემბრის 15-ს დანიშნულია საზოგადო კრება ზემოაღნიშნული საზოგადოებისა. 1426

ისარგებლეთ შემთხვევით

გოლოვინის პრ. 12. იღება ორშაბათს, დეკემბრის 2-დან მაღაზია მოკლე დროით, სადაც იქნება გასასყიდლად მრავალი საქონელი მოტანილი კონსტანტინეპოლიდან გალანტირეია და მანუფაქტურა, წვრილად იმ ფასებში, როგორც პარტიობით, დასაკმაყოფილებლად საზოგადოებისათვის. 2495

განცხადება

ცენტრალური სასურსათო საბჭო ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ დეკემბრის 6-ს დღით 12 საათზე არის დანიშნული საჯარო ვაჭრობა საბჭოს დარბაზში მადათოვის ქ. 3. სასურსათო საბჭოს საქონლის გადატან-გადმოტანაზე ქალ. ტფილისში, მაგალითად: ტფ. სადგურიდან საწყობებში სომხების ბაზარი (Армянскій базар) მანთაშევის ბნელი საწყობები (Темные ряды Манташтва). კახეთის რკინის გზის ნავთლუღის სადგურიდან იმ ადგილებამდე, სადაც საბჭოს აგენტები მიუთითებენ, საწყობიდან საწყობში და სადგურზე და საზოგადოთ როგორც საჭიროება მოითხოვს.

ყველას, ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, არდგენს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს სახელზე განცხადებას, რომელშიდაც აღნიშნავს: 1. თავის გვარს, სახელს და მამის სახელს, 2. თავის მისამართს, 3. გადატანის ფასს ფუთზე და 4. საშუალებას, რომლითაც ის აწარმოებს გადატან-გადმოტანის საქმეს. (ერთ ცხენიან თუ ორ ცხენიანი მარხილებით, ფურგუნებით, ავტომობილებით თუ სხვას) და რაოდენობას გადასატან-გადმოსატან საშუალებებისა.

განცხადებები დაზლვეული და დახურული უნდა იყოს შემდეგი წარწერით სასურსათო საქონლის გადატან-გადმოტანის ჯიბრობაზე მონაწილეობის მისალებად. ამ გვარი განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ცენტრალურ სასურსათო საბჭოს სამმართველოში.

უკანასკნელი ვადა განცხადებების წარმოდგენისა დანიშნულია მომავალ დეკემბრის 5-ს.

ცნობების მიღება შეიძლება მიმწოდებელ განყოფილების უფროსთან. 1419

თუ გინდათ რომ არ შეგეყაროთ „ესპანკა“

სვით კონიაკი

ა. გ ბარგისა.

თუ გინდათ რომ ავადმყოფობის შემდეგ თქვენი ჯანმრთელობა ისევ დაგიბრუნდეთ. მოითხოვეთ პორტვეინი და მუსკატი. ა. გ. მუმლებისა.

პირველი სეზონი
ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირისა

წარმოდგენები გაიმართება

სახელმწიფო თეატრში

ორშაბათობით და პარასკეობით

დასი

ქალები:	ვაჟები:
აბზშიძე ტასო,	აბაშიძე ვასო,
ანდრონიკაშვილი ელო,	აბდუშელი დავ.,
ანკარა სოფიო,	ბარველი ივანე,
გოგოლაშვილი თამარ,	გვარაძე ნიკო,
დავითაშვილი ნინო,	გუგუშვილი ალ.,
ლეჟავა ოლ.,	დადიანი შალვა,
პიერეტა ტ.,	იმხნელი გიორგი,
მესხი ეფემია,	იორდანიშვილი გ.,
სინაურიძე ოლ.,	მატარაძე ვიქტორ,
ქილარჯიშვილი მარ.,	ქვრიძე იოსებ,
ჩერქეზიშვილი ელისაბედ,	სანდალა,
ჩხეიძე ანნა,	სარაული მიხ.,
ჯავახიშვილი ნატ.	ფრონისპირელი გ.,
	ციციშვილი ნიკ.,
	ძნელაძე დავ.,
	ჯაფარიძე შ.

აგრეთვე დრო გამოშვებით მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ნ. ჩხეიძე, ბბ ვ გუნია, ვ გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ალ. იმედაშვილი, ქ. ყიფიანი.

განზრახული რეპერტუარი: ახალი პიესები ორიგინალი ტარიელ გოლუა — ლეო ქიაჩელისა, სინათლე II ნაწილი — ი. გედევანიშვილისა, ბედის ტრიალი — ანერისთავ ხოშტარიასი, მწირი-სარდალი დუტუ მეგრელისა, ბერუსი, სიო ჰანტურიშვილისა თარგმ. დიდი ამბავი ტყუილ უბრალოთ შექსპირის, ძველი რეჟიმი, რიშკოვისა, სასახლის კარზე, კომ. ძველთაგან ორიგინალი — მთის ზღაპარი, ნ. შიუკაშვილისა სიმახინჯე მისივე, სინათლე 1 ნაწილი, გედევანიშვილისა, მსხვერპლი მისივე, ღალატი სუმბათიშვილისა, უგვირგვინო მეფენი, ალ. შანშიაშვილისა, ვინ არის დამნაშავე ნ. ნაკაშიძისა, თარგმ. იულიოს კეისარი, შექსპირისა, გაუდეამუს, ანდრეევისა, ივდით, ჯიოკომეტისა, ხალხის სიკეთე, ჰერცლისა იუდას მემკვიდრე, სობოლჩიკოვ-სამარინისა, ანტიგონე სოფოკლესი. რეჟისორობას გასწევენ — შალვა დადიანი, ნ. შიუკაშვილი და ვ ყუშიტაშვილი

საჭიროების დაგვარ მხატვრულ შემოქმედებაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა და სხვა სპეციალისტები მხატვრები, მუსიკოსები და სხ. და მათ შორის სცენის ცნობილი ტეხნიკოსი

ბ. ზალცმანი

წარმოდგენები ყოველთვის დაიწყება სალ. 7 საათზე. ადგილების ფასი ხელ-მისაწდომია.

პირველი წარმოდგენა დანიშნულია პარასკევს, 6 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება

„ღალატი“

ბილეთები უკვე იყიდება თეატრის კასაში.

დირექცია მსახიობთა კავშირის საბჭოისა.

იძლევა ქირით

ორი ოთახი

თავის სამზარეულოთი ბელინსკი ქუჩის თავში პირველი პეტროვის შესახვევში სახლი ვარდანაშვილისა № 10. 2575

[illegible]

შალვა დადიანს

რეკლამების გასალექსად
თუმც ვიხმარე ყველა წესი,
მაგრამ რა ვქნა, ჩემო შალვა,
ვერ დავწერე უკეთესი!

შენ ხომ იცი, ჩემო კარგო,
სხვა და სხვაა—ია, ნესვი.
პირველია მგოსნის ტრფობა,
მეორე კი კუჭის ფესვი.

იცის ღმერთმა მოვინდომე
რომ შემექო ლატარია;
მაგრამ თვალს არ მშორდებოდა
სატრფიალო ჩემი ია.

და თუ ბედმა გაუღიმა
თქვენს საქმეს, თქვენს ლატარიას,
ეშხით მთვრალი ბულბულივით
შემოვძახებ ტია-ტიას!

1311 გ. ქუჩიშვილი.

ტფილისი, დეკემბრის 4.

ჩვენი მდგომარეობა

ჩვენ ამას წინად გამოვსთქვით ჩვენი აზრი იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც ეხლა იწყება გერმანიისა და რუსეთის ბოლშევიზმის წინააღმდეგ. არსებითად ეს არის ბრძოლა რევოლიუციის წინააღმდეგ, მის ყოველგვარ ნიშნის და ნაშთის აღმოსაფხვრელად. ხოლო ეკონომიური მიზეზები ამ ბრძოლისა ნათელია ფრიად იმ სიტყვის შემდეგ, ჩერჩილს რომ წარმოუთქვამს დენდში. ჩერჩილი ამბობს: ჩვენ გერმანიას უნდა ავანაზღაურებინოთ ზარალი, რაიც დაახლოვებით ორასი მილიონი სტერლინგი იქნება. მაგრამ თუ გერმანიას მოსპობს ბოლშევიზმი, უეჭველია ჩვენ მისგან ვერარაფერს მივიღებთო.

სწორედ ასე სდგას საკითხი რუსეთის შესახებაც. მოკავშირეთა კაპიტალისტებს მილიარდები აქვთ დაბანდებული და ჩაყრილი რუსეთში. ამ მილიარდების ანაზღაურებას ისინი ყოველ საშუალებით ეცდებიან. დღეს რუსეთის სახელმწიფოს სადავე ხელთ უპყრიათ ბოლშევიკებს, რომელნიც ვერც გადაიხდიან და არც გადაიხდიან ძველი სახელმწიფოს ვალს. მაშასადამე ინტერესი ინგლისის და საფრანგეთ—ამერიკისა მოითხოვს რუსეთი უფლებრივ სახელმწიფოდ გადაიქცეს, გაერთიანდეს და შესძლოს ვალების გასტუმრება. ისევე, როგორც გერმანიაში, მოკავშირეთა ინტერესების შემლახველია ბოლშევიზმი და ანარქია იგი უსპობს მათ საშუალებას რამე აიღონ ან რუსეთიდან, ან გერმანიიდან. ამიტომ არის, რომ ისინი შეეცდებიან გერმანიის სახელმწიფოებრიობა მთლად არ მოსპონ, არამედ თავის სასარგებლოდ შესცვალონ.

მაგრამ როდესაც ჩვენ ვამბობთ, მოკავშირეთა ინტერესი მოითხოვს რუსეთის გაერთიანებას თქო—ეს არ ჰნიშნავს უეჭველად ძველ საზღვრებში აღდგენას. კაპიტალისტებს რუსეთის უბედურება კი არ აქვთ მხედველობაში, არამედ თავის ფინანსიურ ინტერესთა უზრუნველყოფა. ჩვენ გვგონია, ისინი შეეცდებიან აღადგინონ ეთნოგრაფიული რუსეთი,

ხოლო ახლად შობილ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს მონაწილეობა მიაღებინონ ვალის განაღდებაში. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ინგლის-საფრანგეთს არაფერი საწინააღმდეგო არ ექნება საქართველოს დამოუკიდებლობისა, თუ იგი ნამდვილ სახელმწიფოებრივ ფორმაში ჩამოყალიბდება და არევ-დარევას მოსპობს. ამ მხრით ჩვენი ქვეყანა უკვე კარგ პირობებში იმყოფება და არის ნიშნები, რომ ინგლის-საფრანგეთიც სწორედ ზემოხსენებულის თვალსაზრისით შეხედავენ განთავისუფლებულ ერთა საკითხს და კერძოდ საქართველოს.

უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: იმპერიალისტების გეგმას ზოგგან ეწინააღმდეგება მუშათა კლასი. ამ მხრით ყურადსაღებია ის საარჩევნო პლატფორმა, ინგლისის მუშათა პარტიას რომ წამოუყენებია ეხლა. იგი მოითხოვს ყოველგვარ საეკონომიო ომის მოსპობას და მოკავშირეთა ჯარის დაბრუნებას რუსეთიდან- უეჭველია იმპერიალისტების გეგმა წინააღმდეგობას გამოიწვევს სხვა სახელმწიფოთა მშრომელ ხალხშიაც. ყოველ შემთხვევაში შეუძლებელია ომის ფართოდ წარმოება და გამეორება იმ სისხლის ღვრის აჩრდილისაც აი, ამ ოთხი წლის განმავლობაში რომ განვიცადეთ. ეს სანუგეშო გარემოებაა. ზემოხსენებული მოწმობს უნიადაგობას იმათ იმედებისას, ვინც ყვავილით დაგვხვდის და ჰგონია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრება ვისიმე ინტერესებს ეწინააღმდეგება.

სომხების პოლიტიკა

ჩვენს პარტიას ბევრი უმუშავნია ეროვნულ საკითხისათვის. ერთი მხრით ჩვენთვის, როგორც ეროვნული სოციალისტებისთვის, ცხადი იყო, რომ კოსმოპოლიტობა თავის თავად აბსურდია, ხოლო ხშირად მის სამოსელში დიდ ერთა წარმომადგენლების იმპერიალისტური ზრახვა იმალება. მეორეს მხრით, ჩვენთვის, მშრომელი ხალხის ინტერესთა თვალსაზრისზე მდგართათვის—აუცილებელი იყო გამოძებნა საკითხის ისე გადაწყვეტისა, რომელიც ჩვენი ერის ინდივიდუალობასაც დაიცავდა მეზობლებთანაც [illegible] დაამყარებდა. ამიტომ იყო, რომ ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდით მეზობელთა საკითხს და გვინდოდა მოგვეხდინა ურთიერთის ინტერესთა ყოველგვარი გამიჯვნა.

დღეს საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მით უმეტეს გვმართებს მეზობლებთან მორიგება და ყოველი სიტყვა ან საქმე, რომელიც ურთიერთობის გამორკვევას და რეგულიარიზაციის მასწრაფებელია—ჩვენ გვახარებს. ჩვენ გვგონია, ამ გზას უნდა დაადგნენ ჩვენი მეზობლებიც, თუ არა ჰსურთ მარადის განმარტოებით იდგნენ და საძულველი დაიმსახურონ. სამწუხაროდ, ამის ნიშნებს ვერ ვხედავთ განსაკუთრებით სომხების მხრით. ამ ხალხის მეთაურები გასაოცარის სიჯიუტით და საკვირველის ენერგიით აწარმოებენ პოლიტიკას, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ და მხოლოდ უსიამოვნობა გამოიწვიოს, ერთა შორის აყალ-მაყალის და ბრძოლის საბაბად შეიქმნეს.

ყველას ახსოვს, ამას წინად რა კამპანია გაგვიმართეს დაშნაკცაკანებმა და რანაირის ლვარძლით იხსენიებდნენ საქართველოსა და მის მთავრობას. ჩვენ ჭეშმარიტებისათვის არასოდეს ხელი არ დაგვიფარებია მხოლოდ იმიტომ რომ იგი საშიშია და არასასიამო. მაშინვე აღვნიშნეთ: რომ სომეხ-ქართველთა ურთიერთობის გამწვავება შემთხვევითი არაა, მას ღრმა საფუძველი აქვს. მოსპობა ომის და ბრძოლის საბაბისა, გამორკვევა ყველა სადაო საკითხისა—აი, ჩვენი მოთხოვნილება და არა მიჩქმალვა იმისა, რაც ყველასათვის აშკარა და ცხადია.

გასული თვის დამდეგს სომხების შესახებ მე ვსწერდი: „უბედურობა სომხებისა ისაა, რომ მათ ტერიტორია არ აქვთ, ყველგან გაფანტულან. მათი ინტერესია ყველა ადგილები, სადაც სომხობაა, რომელიმე ძლიერმა სახელმწიფომ დაიპყრას და ამნაირად მაინც გაერთიანოს პაიკანელები. ამიტომ არის რომ სომხის პოლიტიკოსები წინააღდეგნი არიან არა მარტო პატარა საქართველოს დამოუკიდებლობისა, არამედ წინააღმდეგნი არიან საკუთარ დამოუკიდებლობისაც. სომხეთის მცნება ვერ ჰფარავს, მთელ სომხობას, დეინდეირა“ ო.

მე აქ ვლაპარაკობდი სომხის ნაციონალისტების იდეალზე. ჩვენ ზემოხსენებული ვიცოდით. ვიცოდით სომხის ნაციონალისტების იმპერიალისტური მადა, მაგრამ არ გვეგონა თუ თვითონვე სააშკარაოზე გამოვიდოდნენ და იტყოდნენ მათი ინტერესია ჩვენი და აძერბეიჯანელების გადაყლაპვა, ან რომელისამე დიდი ერისაგან დაპყრობა მთელ ამიერკავკასიისა. არ გვეგონა არა იმიტომ რომ სომხები კეთილი ხალხია და ამას არ მოინდომებდნენ. არა! ჩვენ ისინი უფრო პრაქტიკული და ჭკუიან პოლიტიკოსებად მიგვაჩნდა, ვფიქრობდით, რომ მათი ინტერესი ჩვენსას ეწინააღმდეგება, მაგრამ ისინი ამ წინააღმდეგობის კომპრომისულად მოსპობას შეეცდებოდნენ. ჩვენ გვეგონა დიდი სომხეთის შექმნის უტოპიაზე ხელს აიღებდნენ და მეზობლებთან მორიგებას არჩევდნენ. მაგრამ ის, რასაც ვკითხულობთ დაშნაკცაკანთა აღმოსავლეთის ბიუროს ორგანო „ნორ-ორიზონის“ 30 მეთაურში—გასაოცარი გულახდილობა და ცინიზმია. ეს მეთაური დღევანდელს ნომერში იბეჭდება და მკითხველისათვის მისი ვრცლად გამეორება საჭირო არაა. შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ დებულებას.

„ნორ-ორიზონი“ სიტყვა სიტყვით იმეორებს იმას, რაც ჩვენ ვსთქვით სომხების შესახებ. ერთი მესამედი სომხობისა აძერბეიჯანში სცხოვრობს, საქართველოში იმდენივე სომეხი რჩება, რამდენიც ახლანდელ სომხეთშია და რად გვინდა ამისთანა დამოუკიდებლობა ჩვენი იდეალია გაერთიანება მთელი სომხური ტერიტორიისა და მთელი სომხობისა. თუ ასე არ იქნა, სჯობიან რომელსამე დიდმა სახელმწიფომ დაიპყრას ეს ადგილები და ისე გაგვაერთიანოს.

მაშ საქართველო და აძერბეიჯანიც უნდა მოისპოს, ან სომხეთად იქცეს—აი, დანასკვი! ნუთუ სომხის პოლიტიკოსები ნამდვილად ჰფიქრობენ ამ გეგმის განხორციელებას, ნუ თუ მათ სჯერათ ამის შესაძლებლობა? და ამას ამბობს პარტია, თავის დროშაზე სოციალიზმი რომ უწერია! ჭეშმარიტად, კიდევ გავიმეორებთ რომაელების თქმას: ღმერთი რომ კაცის დაღუპვას მოინდომებს, ჯერ ჭკუას წაართმევს..

რას ნიშნავს დაშნაკელების გეგმა? იმას, რომ ჩვენსა და სომხებს შორის გაიმართოს ბრძოლა სიკვდილ-სიცოცხლისა, ბრძოლა ან ერთის, ან მეორის საბოლოოდ მოსპობისა. უწევენ ანგარიშს ამას დაშნაკელები? რა ენაღვლებათ, ზინვარები ცოტა ჰყავთ თუ, გამბედაობა აკლიათ?!..

მაგრამ შეუძლიან თვით სომხის ერი ჩაებას ამისთანა ავანტიურაში, ან მოითხოვს მისი ინტერესი ამ უტოპიისათვის თავგანწირვას? გვგონია, რომ არა. მიტომ რომ ეს საქმე უიმედოა და მეზობლების საშინელ მტრობას იწვევს.

სომხის ერს ურჩევნია თავის შესაფერის ფარგლებში მოაწყოს თავისუფალი ცხოვრება, რის წინააღმდეგი კერძოდ ქართველობა არამც თუ არ იქნება, ყოველგვარად ხელს შეუწყობს და დაეხმარება. თუ საქმე სხვანაირად წავიდა, თუ გაიმარჯვა ავანტიურამ—იგი საშინელებას გამოიწვევს. ვაი თუ სევდით მოუხდეთ ბოლოს თქმა: ბროლ-ბადახშისა მძებნელმა სათნი დავკარგე, მინანი...

სომხის მშრომელი ხალხის ინტერესი მოითხოვს კეთილმეზობლობას და ყოველ მოსაზღვრე სახელმწიფოსთან მეგობრულ განწყობილებას. რაც ადრე და მალე შეიგნებს ამას სომხის ერი, მით უფრო კარგი ჩვენთვისაც, მისთვისაც...

ქ. რაჭველიშვილი.

ქართული პრესა

აღსანიშნავია, რომ არც ერთმა რუსულმა გაზეთმა ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია საქართველოს დამოუკიდებლობის ექვსი თვის თავი გარდა „ბორბის“ და „გრუზიისა“. გაზეთ „ერთობაში“ ორი მოწინავეა დღესასწაულის გამო. მეორეში ვკითხულობთ:

> ნახევარი წელია ჩვენ დამოუკიდებლად ვცხოვრობთ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ჭირი ვნახეთ: შინ არა ერთი კუთხე აჯვიჯანდა, რეაქციონური და ანარქისტული ელემენტების წყალობით. მაგრამ მუშათა მარჯვენამ ისინი ჩაჩუმა. შეცდომილნი შეეცადნენ გონს მოგვეყვანა, შემცდენელნი კი თავიდან მოვიშორებია, როგორც ქვეყნის ამრევი ძალა. გერმანელთა ჯარები შემოვიყვანეთ, მაგრამ მთელი ძალღონე მოვახმარეთ, რომ ჩვენში უკრაინის ამბები არ დატრიალებულიყო. სოციალურ რეფორმებზე ხელი არ ავიღია. პირიქით, მათ ვაწარმოებდით. მიწები ჩამოვართვით მემამულეთ, და გლეხებს გადავეცით ჯერ დროებით, მალე კი შევუდგებით მათ საბოლოოდ დანაწილებას.
>
> ერობა შემოვიღეთ იქ, სადაც გარდა მოქაულისა, ხალხს არავითარი მთავრობა არ უნახავს; შინაური ცხოვრება ერთიანად აწეწილი, ოდნავ ჩავაყენეთ კალაპოტში. ფოსტა-ტელეგრაფის და სკოლების გახსნას მივყავით ხელი. დამფუძნებელი კრებისთვის მზადებას შევუდექით. და ეს სულ ექვსი თვის განმავლობაში. განა შეიძლებოდა მეტის გაკეთება? არარაობისაგან რაღაცა შევქმენით. და ყველაფერს, რასაც ვაკეთებდით საფუძვლად დემოკრატიული პრინციპი ჰქონდა დადებული, ყველაფერი ხალხის ინტერესებისთვის და ხალხის ხელით კეთდებოდა. მუშები, მუშათა გვარდია, დემოკრატიული რევოლიუციონური ორგანიზაციები იყვნენ მუდმივ მხარის დამჭერი და დამხმარე მთავრობის მოქმედების.
>
> და ჩვენ ვამბობთ, თამამად, რომ შევძელით გაგვეკეთებინა ყოველივე, რაც კი ადამიანის ძალღონეს მოეთხოვება, და აი ამ დემოკრატიულ რესპუბლიკას, დემოკრატიულ შემოქმედებით ნახევარი წლის თავს, ვითვალისწინებთ დღეს, ჩვენ ვიმეორებთ: „ჩვენი დამოუკიდებლობა დიდი სიკეთეა დემოკრატიისთვის, მუშათა კლასისთვის. და ჩვენ სწორედ კლასიური, ინტერნაციონალისტური თვალსაზრისით ვიცავთ მას და დავიცავთ მომავალშიაც.

⁂

გაზეთი „ერთობა“ ეხება იმ კომპანიას, რომელსაც აწარმოებენ ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რუსეთის „ასაღორძინებლად“ სხვა და სხვა ჯურის იმპერიალისტები. იგი ამბობს:

> საქმეც წარეთ იმაშია, რომ „კავკ. სლოვო“ და სხვა „გამაერთიანებელნი“ თავის იდეალათ ისახავენ მხოლოდ და მხოლოდ ამ გაერთიანებას:
>
> „გაერთიანება“ ყოველ შემთხვევაში?“—აი მისი ლოზუნგი; ამ მიზანს მზათ არიან შესწირონ მსხვერპლად ყველა დანარჩენი პოლიტიკური მიზნები. მათთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლება მოელოდეს დემოკრატიას ამ გაერთიანებისაგან. ოღონდ რუსეთი გაერთიანდეს, და თუნდაც მემარჯვენეებმა გაიმარჯვონ იქ, აი რას სწერს ყოფილი სოციალდემოკრატი გ. შირსკი განაპირებულ „ტიფ. ლისტოკში“. ისეთივე ის სულიერი განწყობილება, რომელიც უკარნახებს „კავკ. სლოვოს“ პუბლიცისტებსაც. ოღონდ გაერთიანებული რუსეთი დაინახონ, და ისინი მზათ არიან საქმე ისე მოგვარებენ, რომ დღევანდელი კადეტური და დენიკინის არმიაც კი დემოკრატიზმის მატარებელნი არიან, რომ ისინიც კი „თვითგამორკვევის“ პრინციპის ნიადაგზე დგანან, ისინიც კი არ მოინდომებენ „დიდ-რუსეთის“ პოლიტიკის წარმოებას. საქმეც სწორედ ამაშია, რომ კადეტების და დენიკინის პოლიტიკა ჩვენ მიგვაჩნია დემოკრატიის დამამხობელად. „კავკ. სლოვოს“ პუბლიცისტები კი ამ პოლიტიკის გამარჯვებას სთვლიან დემოკრატიზმის განმტკიცებით.
>
> რათ გვაშინებს ჩვენ დღევანდელ რუსეთთან გაერთიანება? ჩვენ ვხედავთ, რომ დღევანდელ რუსეთში მრავალი ელემენტები იბრძვის: ბოლშევიკები, უფის მთავრობა, ალექსეევის მოხალისეთა ჯარი და ყუბანის ყაზახობა და სხ. ჯერ სრულიად გამოურკვეველია, რომელი ძალა დარჩება გამარჯვებული ამ აბობოქრებულ ზღვაში, რა შედეგს მოგვიტანს ეს საშინელი ქაოსი, ფორმასს მიიღებს იგი, როდესაც ეს ღელვა დაწყნარდება. თუ კი დღეს ვიკისრებთ წინასწარმეტყველებას, უფრო იმის თქმა შეიძლება, რომ ამ ქაოსში დენიკინის ხმა ისმის უფრო მკაფიოდ, რომ ეს მიმართულება ბოლშევიზმსაც ჰაჯობს, უფის „ეს ერულ“ მთავრობასაც და რა სულიერ განწყობილების მატარებელია დენიკინი და მისი მოკავშირე ყაზახობა, ეს ჭეშმარიტ დემოკრატებისათვის სადაო საკითხს არ წარმოადგენს.
>
> მაშასადამე, ჩვენი რესპუბლიკის რუსეთთან გაერთიანების საკითხი ჩვენთვის დაყენებულია ან ისე, როგორც გამოურკვეველ ქაოსში გადაშვება, ან ისე, როგორც რუსეთის კონტრ-რევოლიუციის მხარის დაჭერა. დღევანდელ პირობებში ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გაერთიანებით ჩავაქრობთ იმ ერთად ერთს დემოკრატიულ კერას, რომელზედაც ჯერ კიდევ ანთია რუსეთის რევოლიუციის მიერ დანთებული ცეცხლი.
>
> „კავკ. სლოვოს“, „ტიფლის ლისტოკის“ და ამნაირ გამოცემების მესვეურთ სწორედ ამ ცეცხლის ჩაქრობა უნდათ და ამით აიხსნება, რომ დღევანდელ პირობებში გვირჩევენ ჩვენ დამოუკიდებლობაზე ხელი ავიღოთ.

სომხური პრესა

დაშნაკელების „ნორ ჰორიზონში“ (№ 10) მოთავსებულია ფრიად საგულისხმო მოწინავე წერილი სათაურით: „სომხეთის დამოუკიდებლობა და ჩვენ“.

„ჩვენი მეზობლებიო, სწერს გაზეთი, დაინტერესებული არიან იმ საკითხით თუ როგორ ვუყურებთ ჩვენ მათ დამოუკიდებლობას.

მაგრამ არავის ამ მეზობელთაგანს თავი არ შეუწუხებია გაეგო, თუ როგორ უყურებთ ჩვენს საკუთარს, სომხეთის დამოუკიდებლობას.“

ჩვენი მეზობლები ფიქრობენ, რომ ჩვენ მტრული განწყობილება გვაქვს სხვა ერების დამოუკიდებლობისადმი, ხოლო ჩვენს საკუთარ დამოუკიდებლობას კი ყოველის ღონისძიებით დავიცავთ.

თუ როგორია დაშნაკცუთუნის დამოკიდებულება სომხეთის დამოუკიდებლობის იდეასთან, ამის პასუხი დამოკიდებულია იმაზე, რომ ნათლად და გარკვეულად წარმოვიდგინოთ თუ როგორია „დამოუკიდებელ სომხეთად“ წოდებული ქვეყანა.

„ჩვენთვის „დამოუკიდებლობის“ საკითხი შეუძლებელია დროისა და სივრცის გარეშე დაისვას..

დღეს როცა სომხის ერის ნახევარზე მეტი აძერბეიჯანის საზღვრებში იმყოფება, ხოლო საქართველოს დაახლოვებით იმდენივე სომხობა ჰყავს, რამდენიც თვით დედა ქვეყანას, სომხეთის „დამოუკიდებლობის“ იდეას, ბუნებრივია, ძალიან მცირე აზრი უნდა ჰქონდეს ჩვენს თვალში.

დღეს, როცა სომხის მიწა-წყლის დიდი ნაწილი ოსმალეთის ხიშტების დახმარებით აძერბეიჯანის ხვედრი გახდა, ხოლო ლორი და ჯავახეთი ქართველი „სოციალისტების“ მიერ „სადაოდ“ არის გამოცხადებული, ამნაირ „თავისუფალ“ სომხეთს ფრიად მცირე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენთვის.

და, დასასრულ, დღეს როცა ოთხივ მხრით ალყაშემორტყმული სომხეთი მოკლებულია ყოველივე საშუალებას გარეშე ქვეყანასთან დაუბრკოლებელი და უშუამავლო დამოკიდებულება იქონიოს, მისი საოცნებო „დამოუკიდებლობა“ და „თავისუფლება“ ვერას დროს ვერ მოაჯადოებს ჩვენს აზროვნებას.

დამოუკიდებელი, თავისუფალი სომხეთის იდეა მხოლოდ მაშინ შეიძლება სომხის ერის და კერძოდ დაშნაკცუთუნის პოლიტიკურ იდეალად გადაიქცეს როცა ჯერ ერთი, ამ იდეაში შევა სომხური მიწა-წყალი მთლიანად, მერე მთელი სომხობა და, დასასრულ, როცა ამ ქვეყანას და ერს საკუთარი რაიმე „სარკმელი“ ექნებათ განათლებულ კაცობრიობისაკენ (ხაზი ყველგან „ნორ ჰორიზონისაა“).

თუ ნაცვლად ჩვენი სამშობლო მიწა-წყლისა, ჩვენ გვექნება მხოლოდ მისი დასახიჩრებული სხეულის, ერთი სისხლისგან დაცლილი ნაკვეთი, თუ აგრეთვე სომხობისაგან, სომხის ერის დაპრილ-დაკვეთილ მთელისაგან ჩვენ წილად გვიწევს მხოლოდ ერთი მცირე გასისხლიანებული ნატეხი ..

ცხადი უნდა იყოს ყველასათვის, რომ ყველა მამულის და ერის მოყვარე სომხის დაკოდილ სულში სამუდამოდ ანთიალი ოთხფრონტიანი ირრენდენტა დარჩება.

თუ ყოველივე ეს ასე უნდა დარჩეს, ხელახლა ვიმეორებთ, ჩვენ არ გვესმის თუ რატომ „თავისუფალ“ სომხეთის იდეაზე უპირატესობა რომელიმე ისეთ პოლიტიკურ წესწყობილებას არ უნდა მივსცეთ, რომლის მფლობელობის ჩვენ თუმცა მოკლებული ვიქნებით უბინო, უაზრო და უშინაარსო „დამოუკიდებლობის“, მაგრამ ამასთანავე და ამის ნაცვლად გვექნება გაერთიანებული მიწა-წყალი და გაერთიანებული სომხობა, თუ გინდ უცხოთა მფარველობის ქვეშ...

და თუ ჩვენ მეზობლებისთვის საკუთარი ქვეყნების დამოუკიდებლობას უზენაესი ღირებულება აქვს, შეუძლებელია, რომ მათ სწორედ მათი დამოუკიდებლობის გულისათვის სერიოზულ მსჯელობის საგნად არ აქცევენ ეს ჩვენი მსჯელობაც ჩვენი მომავლის შესახებ“.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა: შრომის სამინისტროსთან არსებულ სამხედრო რკინის გზების მუშათა და მოსამსახურეთა სალიკვიდაციო კომისიის მუშაობა ცნობილ იქმნას დამთავრებულად. მოესპოს ფულის მიცემა ყველა იმათ, ვინც ამ კომისიაში ვერ [illegible] ანგარიშები და მიეცეს მათ წინადადება მიმართონ მათ რკინის გზების სამმართველოს საკრედიტო მოწმობების მისაღებად.

—

პარლამენტის თავმჯდომარეს ეცნობოს, რომ განათლების კომისიის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტს სკოლების ეროვნულ საფუძველზე მოწყობისათვის—დეკლარატიული ხასიათი აქვს და მიტომ მისი პარლამენტში წარდგენა ზედ-მეტია.

—

ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის განკარგულებაში ხაზინიდან 200,000 მანეთი გადაიდოს შტატების შემცირების გამო დათხოვნილ მოხელეთა სალიკვიდაციო ფულით დასაკმაყოფილებლად.

—

განათლების მინისტრის მოხსენება—ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობის გამო მოწონებულ იქმნას.

—

დროებით ბეითალ-ექიმებს და მათ ფერშლებს დღეში თითოს მიემატოს 10 მანეთი ამ წლის სექტემბრის პირველიდან.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელები სოხუმსა და ფოთში

ნოემბრის 29 სოხუმში ჩავიდა ავტომობილებით ინგლისელთა ნაფმოხნების ესკადრის უფროსი ამბლი. მათ შეხვდნენ და მისალმების სიტყვა უთხრეს ოლქის კომისარმა ჩხიკვიშვილმა და ისიდ. რამიშვილმა. ქართველი ლაშქრის სახელით მესალმა გენ. ვაშაკიძე. შემდეგ გაუმართეს სუფრა. ინგლისელებმა უსურვეს საქართველოს სიმტკიცე და ჯარის გაძლიერება.

ნოემბრის 26 იგივენი ჩავიდნენ ფოთს სადაც შეეგება ქალაქის თავი მოდ. ჩხეიძე: მათ აღნიშნეს, რომ თავისუფლების მოყვარული ინგლისი ხელს შეუწყობს საქართველოს დამოუკიდებლობას. ინგლისის ესკადრის უფროსმა უპასუხა, რომ ინგლისი ყოველთვის მოსარჩლე იყო მცირე ერებისა და ახლაც ისე მოიქცევათ. საღამოს გამართულ ნადიმზე მან გაკვირვება გამოსთქვა, რომ საქართველოში ისეთი წესიერებაა, როგორიც არ არის მთელი შავი ზღვის ნაპირად არსად. უკვირდა აგრეთვე, რომ ჩვენ შევსძელით ბოლშევიზმის თავიდან აცილება და სიხარულით იგონებდა ქართველობის მიერ სოხუმში გამართულ დახვედრას.

პირველ ხანებში მათ მოითხოვეს იქ მყოფ გერმანელების იარაღის აყრა, მაგრამ შემდეგ განკარგულება წაიღეს. მათი სიტყვით, ინგლისელების მიზანია წესიერება აღადგინონ იქ, სადაც იგი დარღვეულია.

ზავის გარშემო

ჯარის ევაკუაცია.

აღმოსავლეთში გერმანულ ჯარების ევაკუაციამ და სამშობლოში დაბრუნებამ ფართო ხასიათი მიიღო. პირველ რიგში დაიცალა ესტონია, ლიტვა და მოლოდეჩნო-ტავრიდა-ყირიმის ხაზს აღმოსავლეთით მდებარე ადგილები. დიდი მანძილისა და გზების სიმცირის გამო ევაკუაცია გაჭიანურდა. პოლონეთში შექმნილი მდგომარეობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ევაკუაციისთვის, მაგრამ მაინც არ ხდის მას შეუძლებელს.

მაკენზენის ჯარის დატყვევების შესახებ გავრცელებული ხმები ტყუილია. მის ჯარის მთავარი ნაწილი ზიედმის და კბინშტადტის შუა იმყოფება. დანარჩენი ბავარიასა და სილეზიაში მოვიდა.

რუმინელები.

ზიბენბიურგენში შესულმა რუმინიის ჯარმა მორკჰუნდში დარბევა მოახდინა მცხოვრებლებთან ერთად ებრაელ სახლებს და მამულებს დაესხა და ბია 150 ზე მეტი ებრაელი ოჯახ

ლიუქსემბურგი.

ინგლისური პრესა ნოემბრის 30, ტანიის ჯარმა ლიუქსენბურგის ჩ ლოეთით გერმანიის საზღვარს მიაღ და თითქმის გუბენის ფრონტს დაუ ლოვდა.

ჩერჩილის განცხადება.

ლონდონში ჩერჩილმა სთქვა. გერმანია უნდა ვაიძულოთ გადაიხადოს ომისგან გამოწვეული ზარალი. რომელიც უნდა შეფასდეს არა ნაკლები 2000 მილიონ სტერლინგისა. მხოლოდ თუ გერმანიაში

ბოლშევიზმი გამეფდა, იმ შემთხვევაში მისგან ვერაფერს.მივიღებთ.

მუშები ომის წინააღმდეგ.

მუშათა პარტია საარჩევნო მოწოდებაში ჰკიცხავს ყოველგვარ ეკონომიურ ომს და მოითხოვს მოკავშირეთა ჯარის რუსეთიდან გამოძახებას. კონსპირაციის გაუქმებას და პოლიტიკურ ტყვეების განთავისუფლებას. მოწოდება თავისუფალ ვაჭრობის მომხრეა.

კოპენჰაგენში მივიდა ინგლისის 6 კრეისერი, 20 გამანადგურებელი და ნაღმის ამომკრეფი.

საფრანგეთი და ინგლისი.

პარიზში ბანკეტზე პრეზიდენტმა პუანკარემ განაცხადა, რომ კაცობრიობის პროგრესისთვის კავშირი ინგლისსა და საფრანგეთის შორის მომავალშიაც უნდა გაგრძელდეს. მეფე გეორგმა საპასუხო სიტყვაში დაადასტურა პუანკარეს აზრი და სთქვა, რომ ომმა შექმნა საფრანგეთის და ინგლისის გრძნობათა კავშირი და გაუერთიანა მათი ინტერესები, რამაც დაუბრკოლებრივ უნდა გააძლიეროს მჭიდრო თანამშრომლობა მშვიდობიან პროგრესის და ცივილიზაციის გასამტკიცებლათ.

ამერიკის ჯარი.

პარიზი, ამერიკის ჯარი დღეს გერმანიის საზღვარზე გადავიდა და მიაღწია საერთო ხაზს: ალფერსტემ-მიულბახ-კარბილ-ტროვეს-კონც-სარბურგ-ტაბენს.

რევოლიუცია გერმანიაში

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

საბჭოები.

მაინცის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმ. კომ. მიიღო რეზოლიუცია, სადაც ჰკიცხავს მიუნხენის საბჭოს, რომელმაც მოითხოვა დავიდის და შეიდემანის მთავრობიდან გაძევება.

გროსბერლინის მუშათა დეპუტატების საბჭომ 29 ნოემბ. სხდომაზე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ჯარის კაცთა საბჭო ანგარიშს არ უწევს აღმასრულებელ საბჭოს წარმომადგენლებს.

შვეიცარია და ბავარიის მთავრობა.

მიუნხენიდან მოსულ ცნობების თანახმად, შვეიცარიის მთავრობა არ სცნობს პროფესორ ფორსტერს, რომელიც მინისტრად დანიშნა ბავარიის ახალმა მთავრობამ. შვეიცარია არ სცნობს აგრეთვე ბავარიის მთავრობას, შვეიცარიის მთავრობა განაგრძობს დიპლომატიურ დამოკიდებულებას ბავარიის ყოფილ მინისტრ ფონ-ბომესთან, რომელსაც არ სცნობს ბავარიის ახალი მთავრობა.

ამერიკის აზრი გერმანიაზე.

ამერიკის ჟურნალისტმა მდივანმა „ბერლინერ ტაგებლატ“-ის წარმომადგენელს გაუზიარა გერმანიაში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილება. ამერიკელ ჟურნალისტებს რამდენიმე დღის განმავლობაში გერმანიაში ყოფნის დროს საშუალება ქონდათ გასცნობოდნენ შეხვედრებით გამოკვლევის გერმანულ სისტემის ზოგიერთ მხარეს. მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება, თუ საზღვარ გარეთიდან დახმარება არ მოვიდა.

ამერიკულ პრესის წარმომადგენლები გაეცნო აგრეთვე სახალხო სასადილოების, საერთო გამოკვლევის საქმეს და აღიარეს, რომ ამ სფეროში საჭიროება დიდია. ამერიკულ გაზეთების 5 კორესპონდენტს სასწრაფოდ დეპეშით მოსთხოვეს ბერლინის და გერმანიის დატოვება, ისინი კვირას საფრანგეთში ბრუნდებიან.

მოსკოვის ცნობა.

მოსკოვი, ნოემბრის 30. (ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. გერმანია. ნაუენი, ნოემბრის 28. ბერლინის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს შორის შეთანხმება მოხდა. პოლიტიკური ძალაუფლება გერმანიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ხელშია. საბჭოთა ყრილობამდის აღმ. კ. ცენტრალურ საბჭოს ფუნქციებს ასრულებს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს მიერ სახალხო კომისართა საბჭოს არჩევა ნიშნავს იმას, რომ დეპუტატთა საბჭომ აღმასრულებელი ძალა-უფლება თავის ხელში აიღო. რესპუბლიკის კაბინეტის წევრთ ნიშნავს აღმასრულებელი კომიტეტი, მასვე ეკუთვნის კონტროლის უფლება. როგორც კი შესაძლებელი იქნება, მოიწვევენ სრულიად გერმანიის საბჭოთა ყრილობას. სახალხო კომისართა საბჭომ დაარსა კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს ბრალდება, რომ გერმანიაში სამხედრო ტყვეებს მკაცრად ეპყრობოდნენ.

საბჭოს გადაწყვეტილება

გროს ბერლინის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა დაარსოს ოთხი განსაკუთრებული უწყება. პირველი სახელმწიფო პოლიტიკის საქმეების. რომელშიც შევა პრუსიელი წევრი 8 დანარჩენ საკავშირო სახელმწიფოთა 8 წარმომადგენელი და აღმოსავლეთ და დასავლეთ ფრონტის და ფლოტის 3 წევრი. მეორე პრუსიის საქმეთა უწყება შემდგარი აღმასრულებელ საბჭოს 9 წევრისაგან, მესამე გროსბერლინის, 7 წევრისგან, მეოთხე აღმასრულებელი საბჭოს შინაგან საქმეთა ოთხი წევრისგან.

ბოლშევიკების ფული

მიუნხენის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს წევრის ცნობით ბოლშევიკებმა გერმანიაში რევოლიუციონურ აჯანყების მოსაწყობად 300000 მან. დახარჯეს, რუსეთის ფული ბავარიის მცხოვრებთა შორისაც ტრიალებს.

ეროვნული ყრილობა

სახალხო კომისართა საბჭომ 29 ნოემბერს მიიღო გერმანიის საკონსტიტუციო ეროვნულ ყრილობის არჩევნების წესი, საარჩევნო უფლება ეთანხმება 1918 წლის 12 ნოემბრის მოწოდების ძირითად დებულებებს. მთელი გერმანიის სახელმწიფო 1914 წლის პირველ აგვისტომდე არსებულ საზღვრებში დაყოფილია 88 საარჩევნო ოლქად, საზავო ხელშეკრულებათა დადგენილებანი სახეში არ არის მიღებული. თითო ოლქი ირჩევს მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით 6—16-მდე დეპუტატს, არჩევნები უნდა მოხდეს 1919 წლის 16 თებერვალს, თუ ამას დაადასტურებს გერმანიის სახელმწიფოს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა, რომელიც 16 დეკემბერს უნდა შესდგეს.

მოსკოვის ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

მოსკოვი, 2 დეკემ. უკრაინა. კურსკი, 1 დეკემბერი. ეკატერინოსლავთან ყოველ წუთს მოსალოდნელია ბრძოლა გეტმანის და პეტლიურას ჯარის შორის.

იასი, 1 დეკემ. მეფის ბრძანებით დათხოვნილ იქმნა ორივე პალატა. აზრათა აქვთ კოალიციონურ სამინისტროს შედგენა. სამინისტროში ბრატიანუც შევა. დანიშნულია ახალი არჩევნები პარლამენტში საყოველთაო, თანასწორ ფარულ და პირდაპირ კენჭის ყრის საფუძველზე. მოკავშირეებმა იასში გადასწყვიტეს, კოალიციაში მონაწილეობის მიღებისთვის რუმინიას მისცენ ბესარაბია, ტრანსილვანია, ბუკოვინა და დობრუჯა. ამის სამაგიეროდ რუმინიამ დროებით რუსეთის სამხრეთი ნაწილი უნდა დაიჭიროს. ინგლისის ჯარი ყველა ფრონტზე გერმანიის საზღვრებს უახლოვდება. ინგლისის ფლოტი 30 ნოემბერს კოპენჰაგენში შევიდა.

მოსკოვი. 2 დეკემბერი, ბერლინის პრესის ცნობით პრეზიდენტმა ვილსონმა განუცხადა გერმანიის მთავრობას, რომ თუ ბერლინში ან გერმანიის სხვა ადგილას, რუსეთის ელჩის ჩამოსვლის დროს არეულობა მოხდა, შეთანხმების მთავრობა დროებით ხაზს დაარღვევს.

ლიბკნეხტის ორგანოში დაბეჭდილია ცნობა, რომ გერმანიის მინისტრებმა ებერტმა და შეიდემანმა წინადადებით მიმართეს პრეზიდენტ ვილსონს მოაწოდოს გერმანიას სურსათი და სამაგიეროდ პირდებიან წესიერების დაცვას, უკრაინის განთავისუფლება. კურსკის 2 დეკ. პავლოგრადი გარშემორტყმულია ბოლშევიკთა რაზმების მიერ. ნოვომოსკოვსკში ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო ბოლშევიკურ სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა. საბჭოთა მთავრობა დასავლეთის ოლქებში. იანბურგი. 2 დეკ. შესდგა პეტერბურგიდან სააგიტაციოდ ჩამოსულ კომუნისტთა კრება. მოხდა მოვალეობათა განაწილება. სამხედრო საბჭო არკვევს ნარვაში ჩვენ ხელში გადმოსულ ქონების რაოდენობას. პეტერბურგი 1 დეკ. მოსკოვში სრულიად ხელუხლებლად დაგვხვდა საინტენდანტო ქონება იარაღი ამუნიცია და ყუმბარები რომელიც ჩვენ მარტში დავტოვეთ იქ. გერმანელებს ვერაფრის გაზიდვა ვერ მოუსწრიათ ქონება წითელ არმიის განკარგულებაში გადავიდა.— უკრაინა კურსკი 2 დეკ. ხარკოვიდან იუწყებიან, რომ პოლტავა პეტლიურას მომხრეებს აუღია გეტმანის ჯარი უქმად სცდილობს კიევზე გალაშქრებას. კონტრევოლიუციის ბანაკი. კურსკი 2 დეკემ. კრასნოვის რაზმის უფროსმა ლუგანსკსა და სლავიანო სერბის მაზრაში საალყო წესები გამოაცხადა გაუსამართლებელ დახვრეტით ემუქრება მათ ვინც იარაღს არ ჩააბარებს და ბოლშევიკურ აგიტაციას გასწევს მაკეევში მცხოვრებნი რეპრესიების გამო თავზარდაცემულნი არიან. მუშებს საქარხნო კანტორების საშუალებით სამხედრო გადასახადს ახდევინებენ ალექსანდროვის და გრუშევსკის ციხეები გავსილია მუშებით. რეჟიმი ნიკოლოზის დროის რეჟიმზე უფრო მკაცრია.

ახალი ამბავი

◆ **დღესასწაულის გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, დეკემბრის 6-ს.**

◆ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება** დღეს, 4 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ფრეილინის ქუჩ № 11 შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს ინჟ. კ. ბუდაკოვი.

◆ **„ნაკადული“.** მოგვივიდა „ნაკადულის“ ორი ნომერი—მოზრდილთათვის № 5—6 და ყრმათათვის № 6.

◆ **ქურდობა.** ნოემბრის 29 ღამით უცნობებმა ბაგრატიონ-მუხრანსკის საწყობიდან (ლორის-მელიქოვის ქუჩა), მოიპარეს 12 ხალიჩა და სხვა ნივთები ღირებული 75.000 მანეთად.

◆ **„რესპუბლიკის ჯარი.“** რედაქციამ მიიღო პირველი ნომერი სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებულის ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“სა. ჟურნალი მშვენივრადაა გამოცემული და აქვს ორი განყოფილება. ოფიციალური და სალიტერატურო—სადაც მოთავსებულია მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას, სამხედრო მინისტრისა და და მისი თანაშემწე გენერლების სურათები, სხვა და სხვა განკარგულებანი და წერილები. ჟურნალი შეიცავს 16 გვერდს კაი ქაღალდზეა დაბეჭდილი და თითო ნომერი 1 მან. 50 კაპ. ღირს.

◆ **საიათნოვას საღამო.** შაბათს ნოემბრის 30, მილოვის ბინაზე გაიმართა საიათნოვას პატივსაცემი საღამო. საღამოზე მიწვეულნი იყვნენ ფონკრესი თავისი ამალით, სხვა და სხვა წარჩინებული პირნი, სომხის პოეტი თუმანიანი, მხატვარი ბაშინჯაგიანი და ი. გრიშაშვილი. წაიკითხეს საიათნოვას ლექსები გერმანელებმა (არტურ ლაისტის თარგმანი გერმანულიდან), ბაშინჯაგიანმა სომხურად და გრიშაშვილმა ქართულად. წაიკითხეს რუსულადაც ლისიციანმა და კაპანაკიანმა. ი. გრიშაშვილმა მეტად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, რომელსაც ჰთამადობდა „კავკაზიშე პოსტის“ რედაქტორი.

◆ **გერმანული ენის კურსები.** 6 დეკემბერს საღამოს 6 საათზე, პირველ სავაჟო გიმნაზიაში გაიხსნება გერმანული ენის კურსები ქართულ-გერმანულ კულტურის საზოგადოების ხელმძღვანელობით. სწავლა ბერლიცის მეთოდით. მეცადინეობა საღამოობით. მსურველებს შეუძლიანთ ჩაწერა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით საღ. 6—7 საათ. ვაჟების პირველ გიმნაზიის შენობაში, პირველი შესავალი კარები როზენის ქუჩიდან. სწავლის ფასი თვეში 20 მანეთი.

◆ **დაპატიმრება.** მილიციის უფროსის განკარგულებით სამ სამი თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯა გ. შმიკინს, გ. ჩხოტუას და მეთოდი ხიზანაშვილს, როგორც საზოგადო წესიერებისათვის მავნე პირთ.

◆ **რევიზია.** მილიციის უფროსის განკარგულებით მეცხრე სამილიციო უბნის კომისარიატში დაინიშნა რევიზია.

◆ **რევიზია.** დეკემბრის ორს ტფილისში შესდგა ტფილისის მაზრის პირველი საერობო ყრილობა.

— რაჭის მაზრაში საერობო არჩევნები დეკემბრის 8-ს დაიწყება.

— ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნები დასრულდა.

შეცდომის გასწორება

ჩვენ გაზეთის კვირინდელ ნომერში დაბეჭდილ „პარლამენტის შემადგენლობაში“ შეცდომით არის მოხსენებული, რომ თარხანოვი და თუმანოვი ეს-ერების ფრაქციაში არიან. ნამდვილად ქართველი ეს-ერების ფრაქცია შესდგება 12 კაცისაგან, ხოლო თარხანოვი და თუმანოვი ცალკე არიან და არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ზემოხსენებულ ფრაქციასთან.

◆ **მილოცვა.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის შესრულების გამო, შემდეგი მილოცვის წერილი გამოუგზავნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო წრფელის გულით იზიარებს ქართველი ერის სიხარულს საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის ნახევარი წლის დღესასწაულის გამო, გილოცავთ თქვენს და მთელს პარლამენტს ამ დიად დღეს და გისურვებთ კვლავ მხნედ შეუდრეკელად განაგრძოთ ნორჩი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებათა დაცვა და განმტკიცება. დეე მტკიცე საძირკველზედ დაემყაროს თავისუფალ საქართველოს სახელმწიფო შენობა, ყველა მოქალაქეთათვის სანატრელი და სასიქადულო. უნივერსიტეტიც თავის მხრივ მზადაა მთელი თავისი ცოდნა და ძალ-ღონე შესწიროს აღორძინებულ საქართველოს აყვავებას და საყვარელი სამშობლოს შეუწყვეტლივ კულტურულ წარმატებას. რექტორი—პ. მელიქიშვილი. პროფესორთა საბჭოს მდივანი-პროფესორი ი. ყიფშიძე.

◆ **ივ. კაჩუხაშვილის გამო.** ნოემბრის 10-ს გაზ. „კლდის“ ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი: „კაჩუხოვის ბედი, ივ. კაჩუხაშვილი მექრთამეობისათვის სამსახურიდან დაითხოვეს“ და სხვა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალებით, გთხოვთ თქვენი გაზეთის მახლობელ ნომერში დაუთმოთ ადგილი შემდეგს: ივ. კაჩუხაშვილი სამსახურიდან არ არის დათხოვნილი; ის მხოლოდ განთავისუფლებულია დასასვენებლად 2 თვის ვადით თანახმად მისი თხოვნისა. ვადა გაუთავდება დეკემბრის 19-ს. გარდა ამისა სამინისტროს არ მიუღია არც ერთი განცხადება ან ცნობა ბატ კაჩუხაშვილის მიერ მთავრობის ან დემოკრატიის ინტერესების შებღალვისა. შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის მაგიერ გ. ნანეიშვილი.

◆ **რუსეთის სოციალ-დემოკრატია.** ტფილისში არსებულ ინტელიგენტთა ჯგუფს, რომელიც რუსულ გაზეთ „სოციალ-დემოკრატს“ გამოსცემს, „ჰუმეტისტებთან“, სომხებთან და ბაქოს მენშევიკებს დაუარსებიათ საკუთარი დროებითი კომიტეტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა. ამ მოკლე ხანში ისინი იწვევენ ტფილისის თავის მომხრეთა კონფერენციას და განზრახვა აქვთ ყოველდღიური გაზეთიც გამოსცენ, რათა „ჭკუაზე მოიყვანონ“ თავისი „განდგომილი“ (მათი ტერმინია) ქართველი ამხანაგები.

◆ **საჭიროა მასწავლებელი** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქაკავის ქართულ სკოლაში. ჯამაგირი თვეში 700 მან. და ბინა. თხოვნები მიიღება წ. კ ხ. გ. ს. კანცელარიაში. (სასახლის ქ. № 5)

◆ **საჭიროა აგრეთვე მასწავლებლები** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ატენის, გომარეთის, ყალამშის და მოიდანახეს სკოლებში. მასწავლებელს ექნება ჯამაგირი თვეში 400 მან. და ბინა. თხოვნები მიიღება წ. კ. გ. ს. კანცელარიაში (სასახლის ქ. № 5).

◆ **საჭიროა მასწავლებელი** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ნალჩიკის სკოლაში (თერგის ოლქი). ჯამაგირი თვეში 600 მან. და ბინა. თხოვნები მიიღება წ. კ. გ. ს. კანცელარიაში (სასახლის ქ. № 5).

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება მამადავითში. პარასკევს დეკემბრის 6 მამადავითში მცხოვრებ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრს ვთხოვთ მობრძანდნენ ფრიად საჭირო საკითხების გასარჩევად აკაკის სახელობის სასწავლებელში. დავიდოვის ქუჩა. ბაღის პირდაპირ მომხსენებელია მთავარ კომიტეტის წევრი.

მოწაფეთა კრება. დღეს საღამოს 5 საათზე პარტიულ ბიუროში (სამკითხველოს ბინაზე) დანიშნულია კულტ-ტეხნიკურ სასწ. სოციალისტ-ფედერალისტ მოწაფეთა კრება. ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

სამინისტროებში

მოხელეთა სამსახურში წესიერად გამოცხადებისათვის.

იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა სასამართლოს დაწესებულებათა უფროსებს, რათა მათ სასტიკი თვალყური ადევნონ თანამდებობის პირთა მიერ სამსახურში დროზე გამოცხადებას. კერძოდ, ახლად დანიშნულ მოხელეთა შესახებ სამინისტროს უნდა სასწრაფოდ წარმოუდგინონ მოხსენება, ვინ გამოცხადდა დაგვიანებით ახალ თანამდებობის აღსრულებაზე ვინ არ გამოცხადდა დღემდე ან რა მიზეზისა გამო.

სასამართლო და ადმინისტრაცია.

იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა სასამართლო დაწესებულებათა უფროსებს და საპროკურორო ნაწილს, რათა სამინისტროს სასწრაფოდ წარუდგინოს ცნობები იმის შესახებ, რამდენად აფერხებდა და აფერხებს სასამართლო დაწესებულებათა წესიერს საქმიანობას ადმინისტრაციის ჯეროვნად მოუწყობლობა, ადმინისტრაციის მოხელეთა უმოქმედობა, მათ მიერ სასამართლოს მოხელეთა და დაწესებულებათა კანონიერ მოთხოვნილებათა აუსრულებლობა გამოძიების პროცესში და სასამართლოში (ორსავ ინსტანციაში) საქმის გარჩევის დროს (უწყებების ჩაუბარებლობა, სასამართლოში გამოუცხადებლობა და სხვ.).

სასამართლო დაწესებულებათა კანცელარიების გაეროვნებისათვის.

სამინისტრომ განუმარტა თავისს ხელქვეით დაწესებულებათ, რომ სამინისტროსთან ქართულად მიწერ-მოწერა გულისხმობს ქართულად შედგენას არა მარტო სამინისტროსადმი მიმართულ ქაღალდებისას, არამედ მათთვის დართულ ყოველგვარ ცნობებისასაც.

კ. გოგიბერიძის საქმე

მკითხველებს მოაგონდებათ რომ ამა მიმდინარე წლის ივლისში ვორონცოვის ხიდზე მოჰკლეს პორუჩიკი გაჩეჩილაძე, რომელიც დანიშნული იყო ქართულ კლუბის მსახურის ქიქიკო რუხაძის გვერზე ზ. გოგიჩაიშვილზე. გაჩეჩილაძის მოკვლის ორი კვირის შემდეგ ნაძალადევში გაიყვანეს თვით ხასიმამრი გაჩეჩილაძისა ქიქიკო რუხაძე და ისიც მხეცურად მოჰკლეს და მთელი ოჯახი დაგდეს სრულიად ულუკმა-პუროდ. გაზეთებში ზაფხულში უკვე იყო მოკლედ აღწერილი ეს აღმაშფოთებელი ბოროტ-მოქმედება. პირველი მკვლელობის შესახებ პასუხის გებაში მიცემული იყო ტფილისის საბჭოს ხმოსანი კალენიკე გოგიბერიძე; ამ საქმის გარჩევას საგანგებო სასამართლო ბ-ნ ივანე ჯაფარიძის თავმჯდომარეობით სილიბისტროს ჯიბლაძისა და ბ-ნ კამისიოვის მონაწილეობით შეუდგა წ. სულ ნოემბრის 30 და მისი განხილვა დამთავრდა ორს დეკემბერს ნაშუადღევის 4 საათზე. სასამართლოს ბევრი გარეშე ხალხი დაესწრო. საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ შეკითხვაზე დამნაშავედ აღიარებს თავს თუ არა, კალენიკე გოგიბერიძემ განაცხადა, რომ იგი დამნაშავე არ არის გაჩეჩილაძის მკვლელობასა და როტმისტრ სოხაძის მოკვლის განზრახვაში და განმარტა, რომ რადგანაც მე ქიქიკო რუხაძეს იარაღის ტარების ნება ვსთხოვე ამ გარემოებით გამწარებულებმა გაჩეჩილაძემ და სოხაძემ მომინდომეს მოკვლა. დამეცნენ თავზე და მე თავდაცვით მდგომარეობაში მყოფმა დავასწარი და შემომაკვდა ერთი და დავჭერი როტმისტრი სოხაძე. ამ საქმის გამო გამოჰკითხეს მოწმეებს. მოწმეთა გამოკითხვა ორს დღე ნახევარს თითქმის გაგრძელდა. მოწმეთა ჩვენებით და სასამართლოში წაკითხულ საბუთებით გამოირკვა ბრალდების სინამდვილე.

გოგიბერიძის დამცველმა დეკემბრის 2 თითქმის ორი საათი ილაპარაკა, გააკრიტიკა ყველა მოწმეთა ჩვენებანი და ამტკიცებდა, რომ გოგიბერიძე თავდაცვის მდგომარეობაში ჩადგა და თავი რომ დაეხსნა უნდა მოეკლა გაჩეჩილაძე. სასამართლომ განაჩენის მისაღებად დიდხანს ითათბირა. სასამართლომ გოგიბერიძე დამნაშავედ იცნო პორუჩიკ გაჩეჩილაძის მოკვლისა და როტმისტრ სოხაძის მოკვლის განზრახვაში და გადაუწყვიტა ყოველივე უფლების და ღირსებათა ახდა და 4 წლის კატორღა.

თეატრი და ხელოვნება

კონცერტი.

შაბათს, ნოემბრის 30, დემოკრატიულ კლუბში გაიმართა ალ. მაისურაძის გუნდის კონცერტი, თუმცა პროგრამა შინაარსიანი იყო, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში გუნდს ემჩნეოდა გაუბედაობა, რაც ხელს უშლიდა კონცერტს მნიშვნელობითი მთლიანობის შესრულებას. აგრეთვე კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა ახალი სიმღერები დამსწრე საზოგადოებაზე, როგორც მაგალითად—„მერანმა“, ჰოპურმა და ქონამ. რამდენიმე სიმღერა თითქმის ორჯელაც გაამეორებინეს კარგი იყო აგრეთვე ლ. ჯანდიერის მიერ შესრულებული „ურმული“, თუმცა პირველ და მეორე განყოფილებებში შესრულდა ხალხური ცოტა

ხუსტად, მაგრამ ურმულით მაინც გამოაკეთა თავისი ნაკლი. კარგი იყო აგრეთვე ტრიო—„მინდა გიყვარდე“, რომელიც შესრულებულ იქმნა დანი ნაბიჭვრიშვილების და ხუციშვილის ასულის მიერ.

საერთოდ საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა. კონცერტი დასრულდა ღამის 11 საათზე.

რიგი პირველი.

ამერიკიდან საქართველომდე

ქ. ირკუტსკში (ციმბირი)

სადგურთან მდგომ ვაგონებზე წითელ დროშის გარშემო რუსულ-გერმანულ ენაზე კრებები იმართებოდა და გაცხარებული ორატორები მსმენელთ საომრად მოუწოდებენ „ბურჟუაზიისაგან მოსყიდულ“ ჩეხო-სლოვაკების და მათ მომხრეების დასამარცხებლად.

დიდ უმრავლესობას ბოლშევიკების ჯარისას გერმანელები და მადიარები (ყოფილი გერმანელი ტყვეები) შეადგენდნენ. მოწინაღმდეგეთა მხრით ჩეხო სლოვაკები (ავსტრიის არმიიდგან თავიანთ სურვილით რუსეთის მხარეზე გადმოსულნი) რომელნიც მოკავშირეების მეცადინეობით შეიარაღეს რუსეთში რომ საფრანგეთში გერმანიის წინაამდეგ საბრძოლველად ციმბირში განვლით ვლადივოსტოკიდგან გაეგზავნათ.

ამერიკის პრესას მეტრჯერ გამოუთქვამს ის აზრი, რომ ამერიკელებისთვის ბოლშევიზმი უფრო საშიშოა. ვინემ გერმანია. ამერიკაში ვიყავი იმ დროს, როცა გამარჯვებულმა გერმანელებმა ბოლშევიკებს ქ. ხარკოვი გამოგლიჯეს და წესიერება აღადგინეს. ამერიკის პრესა სიხარული და აღტაცებით შეეგება ამ ცნობას; „ხარკოვში გამარჯვებულ გერმანიის ჯარი შევიდა. წესიერება აღადგინა, ბანკებში დაკეტილი კარები გააღეს და საქმეს აწარმოებენო, ვაჭრობა მრეწველობა გაჩაღდა და ყველაფერი რიგზე სწარმოებსო“.

მოკავშირეების ოინი ბოლშევიკებმა ქ. ტიუმენის დაკარგვის შემდეგ გაიგეს. გამარჯვებულ ჩეხო-სლოვაკებს ყოფილი აფიცრობა, თეთრი გვარდიელები. სოციალ რევოლიუციონრები, და კაზაკები მიემხრნენ და გამარჯვებულმა ქალაქი ქალაქებზე აიღეს და ქ. ირკუტსკს მიადგნენ. ჩეხო-სლოვაკების და მათთან თავმოყრილ ძალების წინააღმდეგ იბრძოდნენ ბოლშევიზმში გახვეული გერმანელი მადიარები.

კვირა დღე იყო საღამოს 5 საათი იქმნებოდა რომ ქ. ირკუტსკის დიდს ქუჩაზე მიდიოდი ანარქისტ-შანტაჟისტების რაზმმა (დაახლოებით 400—500 კაცამდე) ქუჩა შეჰკრა და ქუჩაში მოსეირნეთ საბუთებს უშინჯავდა. თუ ვინმეს საბუთებს გარდა ჯიბეზე ათის მანეთზე მეტი ნაღდი ფული აღმოაჩნდებოდა დანაშაულად ითვლებოდა იმათ სამართლიანობის წინაშე და დამნაშავეს მანდატის ძალით ართმევდნენ და თუ ვინმეს ათას მანათზე ნაკლები აღმოაჩნდებოდა იმისთანებს ფულის ჩამორთმევის შემდეგ დაუსჯელად უმანდატოდ ისტუმრებდნენ. ვინაიდგან ჯიბეში 400 მანეთი აღმომაჩნდა ამ უკანასკნელთა რიგს მიმათვალეს და მანდატის წერაში დრო აღარ დამაკარგვინეს და უფულოდ გამომიშვეს!

ქ. ირკუტსკში მოსვლისთანავე მით ხრეს, რომ ქალაქში ბლომად ქართველები სცხოვრებდნენ და ქართველთა მეომარი დრუჟინა ქალაქს იცავსო. გაგებისთანავე მივედი ქ. ირკუტსკის ქართველთა საზოგადოების დრუჟინის შტაბში. შტაბში მოსვლით გავიგე რომ ქ ირკუტსკში მყოფ ქართველებს დრუჟინა შეედგინათ იმ მიზნით, რომ სხვა აღმოსავლეთ ქალაქებში მცხოვრებ ქართველებს (ვლადივოსტოკში, ხარბინში, ხაბაროვსკში, ბლაგოვეჩენსკში და ჩიტაში) ყველას ირკუტსკში თავი უნდა მოეყარათ ერთად და ირკუტსკში შეიარაღებულ ქართველებს იარაღით ხელში ციმბირში მყოფ სხვა ქართველებისთვის უნდა გამოევლოთ და ყველანი შეიარაღებულნი სანატრელ სამშობლოს გაჭირვებაში ყოფნის დროს საშველად უნდა მოსულიყვნენ. მაგრამ უგზოობის გამო ვერ შეეძლოთ გამოსვლა და იქ დარჩენილთ ნეიტრალიტეტის დაცვით (ბოლშევიკებს და მენშევიკებს ბრძოლის დროს) ქალაქში მშვიდობიან მცხოვრებთა მცარცველებისგან დაცვა ეკისრად. ქართველთა დრუჟინაში ჩავეწერე და ერთ კვირას შტაბში ემუშაობდი.

ქალაქში სამხედრო საალყო წესები იყო გამოცხადებული ბოლშევიკების მიერ.

ბოლშევიკებმა რიცხვით რამდენჯერმე უმრავლეს ჯარის წინაღმდეგ ქალაქის დაცვა უიმედოდ სცნეს. წამლის საწყობების და ხიდების აფეთქების შემდეგ ქალაქის ევაკუაციას შეუდგნენ, რასაც საშინელი ძარცვა-გლეჯა ცხენების და სხვა ქონების რეკვიზიცია მოყვა. ერთი-კვირის განმავლობაში დრუჟინაში მყოფ ასოცს კაცს მოსვენება არ ქონია. ბევრმა მოქალაქემ გადაარჩინა თავისი ქონება ქართველების შტაბის და დრუჟინიკების მეცადინეობით. ბევრმა მოქალაქემ გადაარჩინა ცხენები ჩვენს დრუჟინიკებზე ჩამორიგებით წითელ არმიელების და ანარქისტ-შანტაჟისტების რეკვიზიციიდგან.

11 ივლის ჩეხო-სლოვაკების მოახლოების გამო ანარქისტ-შანტაჟისტებმაც შეუდგნენ ქალაქის ევაკუაციას და რეკვიზიციის წინააღმდეგობისთვის მეოთხე ნაწილში სასაფლაოზე ტყვიისმფრქვეველები ახმაურდა.

ვაგზლის ახლოს გამაგრებულმა ბოლშევიკებმა ორი საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ უკან დაიხიეს. და დამარცხებულთ გამარჯვებული ჩეხო-სლოვაკების ჯარი ფეხდაფეხ უკან მისდევდა და 4 საათზე 11 ივლის ქალაქში შემოვიდა გამარჯვებული ჯარის უფროსი პოლ. ვეპელიევი.

სამი დღის და ღამის განმავლობაში ახალ შემოსული ჯარი ჩვენს საქმეში არ ერეოდა და ღამის პაროლი (საიდუმლო სიტყვა) ჩვენი შტაბიდან მიქონდა და ბრძანება ქონდათ კომანდირისგან, რომ ჩვენი დრუჟინისათვის დახმარება აღმოეჩინათ ქალაქის დაცვაში, თუ ამას დრუჟინა მოითხოვდა.

ივლისის 14 ს (კვირას) დილის 10 საათზე საერთო კრება იყო დანიშნული ჩვენი შტაბის კოლექტივისა, რომ გადაგვეწყვიტა მომავალი ჩვენი მდგომარეობა.

სწორედ დანიშნულ დროზე მოულოდნელად გარს ჯარის ალყად შემოგვარტყეს შტაბის წინ ტყვიის-მფრქვეველები დაგვიდგეს და შტაბში შეიარაღებულ მხლებლებით პოლკის კომანდირი შემოვიდა და შტაბის უფროსი იკითხა. კოლექტივის (თავმჯდომარის ამხანაგმა აუხსნა, რომ ჩვენ მის მაგიერ კოლექტივის თავმჯდომარე გვყავს, რომელიც ეხლა აქ არ იმყოფებაო და განმარტება სთხოვა: რამ გამოიწვია ასეთი თავდასხმაო. კომანდირმა განუცხადა, რომ ის კითხვებზე ვერ უპასუხებს და ნაბძანები აქვს ქართველების დრუჟინისთვის იარაღის ჩამორთმევა, რის სისრულეში მოყვანასაც შეუდგა.

ჩამოგვართვეს ყოველგვარი იარაღი და სამი დატვირთული დროგით თავიანთ შტაბში წაიღეს.

საზოგადოების კოლექტივის თავმჯდომარემ ბ-ნ ტუსკიამ მიმართა უცხოეთის კონსულებს, რომ ამ საქციელისთვის ყურადღება მიექციათ, მაგრამ უცხოეთის კონსულების უფროსმა საფრანგეთის კონსულმა მოიწერა: ჩვენ რუსეთის შინაურ საქმეში ვერ ჩავერევითო. ბოლოს თავმჯდომარემ და რამდენიმე საზოგადოებაში ცნობილმა პირებმა პოლ. ვეპელიევს მიმართეს. პოლკოვნიკმა განაცხადა, რომ მან ფრონტიდან მიიღო ტელეგრამმა, რომლითაც ატყობინებდნენ. ქართველების დრუჟინა ბოლშევიკების მოსახმარებლად ირკუტსკიდან გამოდის და დააკავეთო, და დაუმატა პოლკოვნიკმა „რომ სამმა უცხო პირმა ოფიცრის ფორმაში გამოწყობილმა პირადად ამნაირადვე გადასცა მას“. პოლ. ვეპელიევის ჯარში ქართველი ოფიცრებიც აღმოჩნდნენ

პოლკოვნიკმა ქართველების დარწმუნებულმა უდანაშაულობაში წაღებული იარაღები უკანვე დაუბრუნა დრუჟინას.

იარაღის მიღებისთანავე ქალაქის დაცვაზე ქართველებმა უარი განაცხადეს, მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ გზა მალე გაიხსნება და იარაღით სამშობლოში დავბრუნდებოდითო და ამიტომ მოინდომეს პოლკოვნიკ ვეპელიევთან შეთანხმებით მოქმედება იმ პირობით, რომ ქართველებს უნდა ჰყოლოდათ ქართველი ოფიცერი, ბრძანება ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო, ფორმა თავისუფალი უნდა ყოფილიყო და შეიარაღებული ქართველები სამშობლოსკენ იმავე პირობას სდებდნენ, რომ გზაში მათ წინ დამხვდურს შეებრძოლებოდნენ განურჩევლად იმისა, ვინც უნდ ყოფილიყო. პოლკოვნიკი თხოულობდა, ქართველებს შეედგინათ განცალკევებული დრუჟინა ციმბირის ჯარის ფორმით, რომლის უფროსი რუსი ოფიცერი უნდა ყოფილიყო, და იმოქმედნა ისე, როგორც დიდი რუსეთის აღდგენის საქმე მოითხოვდა. ამ უკანასკნელ პირობებზე დათანხმება სამშობლოს მაგიერ ჩვენ ბოიკალისკენ გაგვგზავნიდა, ამიტომ უარი ვსთქვით და დავიშალენით.

მე ივლისის 26-ს გამოვედი დროგით (ხიდების აფეთქების გამო მატარებელი არ დადიოდა) ქ. ირკუტსკიდან და 120 ვერსის გავლის შემდეგ მივედი სად. პოლავინაზე.

29 ივლისს კლასის ვაგონით გამოვედი სად. პოლავინიდგან და გამოვლით კრასნოიარსკის, ნოვო-ნიკოლაევსკის, ომსკის, პეტროპავლოვსკის და კურგანის მივედი ქ. ჩელიაბინსკში. ამას იქით წასვლის ნებართვა არ მომცეს და ამიტომ დროებით აქ დავრჩი. ქ. ჩელიაბინსკიდან ქ. იკურტკამდე ჩეხო-სლოვაკების და ციმბირის ჯარის ხელში იყო. როცა ჩეხო-სლოვაკები ირკურტსკს უახლოვდებოდნენ, იმ დროს ვლადივოსტოკში თავმოყრილმა ჩეხო-სლოვაკები (რომლებიც ვითომდა საფრანგეთში წასასვლელად ემზადებოდნენ ვლადივოსტოკის აჯანყებულებს შეუერთდნენ და ქალაქი დაიჭირეს) ვლადივოსტოკში ჩეხო სლოვაკებს მოკავშირეთა ჯარმა ზურგი გაუმაგრა და გამარჯვებულმა ქ. ჩიტამდი ქალაქი ქალაქზე აიღეს და ბაიკოლზე გამაგრებულ ბოლშევიკებს მეორეს მხრით მოადგა მომწყვდეული ბოლშევიკები სასტიკად იბრძოდნენ, მაგრამ ყოველმხრივ მტერ შემორტყმულნი შველას მოკლებულნი სასტიკ გაჭირვებას განიცდიდნენ და სიმაგრეებს მოწინააღმდეგებს უტოვებდნენ და კლდის ძირისკენ მიიწევდნენ

ბოლშევიკებიდან დატანჯულ ხალხის მოლოდინი ვერც დროებითმა ციმბირის მთავრობამ გაამართლა. პირველ ხანებში ჩეხო-სლოვაკებს „განმათავისუფლებელს“ უწოდებდნენ და პატივისცემით ეპყრობოდნენ, მაგრამ სტუმრები ადრე დაძველდნენ და რკინად იქცნენ. პირველ ხანებში თუ მათი შემოსვლა სასიხარულო იყო. ეხლა გამარჯვების შემდეგ ხალხს მოსვენებას არ აძლევდა საკითხი: რა უყოთ ამ ხალხს, თუ მათი დაბრუნება თავიანთ სამშობლოში ვერ მოხერხდაო. ზოგმა ის აზრი გამოსთქვა რომ ჩეხო-სლოვაკების ციმბირის თავისუფალი მიწები ჩამოერიგებინათ და დაესახლებინა, მაგრამ ციმბირელები ვერც ამას ურიგდებოდნენ ვინაიდან აღთქმული ჯილდოს ბევრის ანხორციელება აღუსრულებული დარჩა.

მიწის ძველ პატრონს მიწა უბრუნდებოდა და პაგონების პატრონს პაგონი და მუშებს კი დაკლებულ ფასებში 12 საათის სამუშაო დღე. „ტოვარიშჩების“ ბოკალზე განდევნით სიტყვა „ტოვარიში“ ამარებიდან ამოშალეს, მაგრამ კვალი ბოლშევიზმისა ციმბირის ცხოვრებას განავლები აჩნდა.

ვაჭრობა-მრეწველობა ძრიელ დაცემული იყო და მთელ ვაჭრობას ბაზრებზე ნაპარევი საქონლის ვაჭრობა წარმოადგენდა. რამდენიმე მილლიონი ლტოლვილნი ღვთისგან, კაცისგან და ბუნებისგან მოძულებულნი უპატრონოდ მინდვრად პირუტყვივით ეყარა.

აგვისტოს 18 ავიღე ნებართვა სამარამდე მისვლისა და ქ. ჩელიაბინსკიდან მატარებლით გამოვედი და სად. პოლეცვოზე (საზღვარი რუსეთ ციმბირს შორის) გამოვედი. ეს სადგური 28 ვერსზე არის ქ. ჩელიაბინსკიდან და ნამდვილ „საზღვარს“ წარმოადგენს. აქ სასტიკი ჩხრეკა იყო ყველაფერი ხიშტიანმა კაზაკებმა გადაბუგეს და დიდი წანართმევი-ნადავლი დატვირთული ვაგონებით წაიღეს.

აგვისტოს 22 მივედი სამარაში და რადგან შემდეგ წასვლის ნებართვა არ მომცეს ქალაქში დავბრუნდი დროებით.

იოხ. ლომაძე.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნოემბრის ოცდარვას მივდიოდი ჩემი კერძო საქმეებიდან დაღალული, ამ დროს შევეფეთე უბედურ სურათს ვნახე ჩვენი პოეტი ქალი ნინო ორბელიანისა ნახევრად მიწოლილი ორაქსკი შესახვევის წინ. ასეთ საშინელ მდგომარეობაში რომ დავინახე, ვკითხე: სად არის თქვენი ბინა მეთქი. მიჩვენა და დაუმატა ბინიდან გამომაგდესო. მე აღელვებული წავედ წავიყვანე ბინაზე და შევიყვარე ჩემს ბინაზე. მე აქ არა ვცხოვრობ, დროებით ვარ ჩამოსული თელავიდან უმორჩილესადა ვთხოვ ქართველ საზოგადოებას მიაქციოს ყურადღება პოეტის ამ გაჭირვებულ მდგომარეობას, მისცეს საშუალება მოხუცს თავისუფლად ისუნთქოს, ვიდრე ცოცხალია, თორემ როცა გარდაიცვლება, აღარას უშველის გვირგვინები და სიტყვები. მისამართი ჩემი ასეთია: ოლღა კონსტანტინეს ასული გუბელაძისა პრიუტის ქუჩა, № 5. თუ ამ მოხუცს ვერსად მოათავსებენ. ვთხოვ მომიყვანონ თელავში ქართულ პოლკში, იკითხონ გუბელაძე, მე ჩემთან ვაცხოვრებ.

ოლღა გუბელაძისა.

გამომცემელი
ხარიტონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს საოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 15—77. 300

ექიმი კონსტანტინე ტარიელის ძე ლორთქიფანიძე (ბაქოდან) მიიღებს შინაგან ხნეულობის და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19. 2512

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118

ექიმი დ. ა. ხარაძე [illegible] სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს [illegible] საათამდე. კვირაობით დილის 9 12 [illegible] ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87 [illegible] აუდიტორიის ახლოს. 2105

ექიმი ქალი ს. ბ. მიქელაძე [illegible] მედიცინის დოქტორი [illegible] ნევის უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. [illegible] ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა [illegible] დარიგებას. სიფილისი [illegible] მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ [illegible] 2306

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ექიმი ნ. დ. ტურაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, სებითი და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7 [illegible] 908

ექიმი [illegible] შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4\frac{1}{2}$—6 საათამდე. პეტროფილის ქ. № 26. ტელ 5—86. 1270

ექიმი ი. ი. ბერიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი ხანტუმრი „ნოვე“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი ქ. ტუმილაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914“-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6 8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი ვ. მუხ[illegible] იღებს ავადმყოფთ დილის [illegible] ყორღანოვის ქ. № 6.

თვალის სამკურნალო მუდმივი სა[illegible]ლით ექიმ დონაძისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენაში და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 820

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. [illegible]ნისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და [illegible] მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. ღარიბ-ლებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—6 საათ., გარ კვირისა. ტელეფონი 12—46. 2928

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

მედიცინის დოქტორის

გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი ყ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), კუჭისა და [illegible]. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. ღარიბ-ლებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.

ს. წყლებს უფასოდ 1340

კერძო სამკურნალო

ემ. ა. დ. ალექსიძის

მოსასვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

ვ. მ. რუქაძე—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11

მ. მ. ტყეშელაშვილი—კანის და ვენერიული, სიფილის 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბავშვო და საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა ხ. დაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგე ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ვეზნისის მოედანთან, ტელეფონი № 9—8

სამკურნალოში ყოველდღიურ იმყოფება მორიგე ექიმი. 2173

ექიმ ნავახარდიანის [illegible] სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

[illegible] ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606“ და „914“ 11—12 ს.

ხ. ა. ნავახარდიანი—11—1 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ. ს. ავადმ.)

მ. ბ. აგახარიძე: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.

მ. გ. ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ხეჩინაშვილი: 10—12 ს. ყურის ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ს. გ. ავეტისიანი—11—1 ს. [illegible] ბავშვთა ავადმ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეებით

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავახარდიანი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 60 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9 3 საათამდე, სახაზინოს ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 19—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“, ბარონის № 14, (კალოუბნის ქ. 14).